ქალაქ თბილისის მთავრობა

დადგენილება № 06.43.236

" 21" თებერვალი 2014 წ.

შპს „სასკო“–ს სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისთვის განაშენიანების ინტენსივობის კ–2 კოეფიციენტის მოსაკრებლის გადახდის გადავადებისა და მასთან დაკავშირებით შეთანხმების დადების შესახებ

ქ. თბილისის მერიას 2014 წლის 11 თებერვალს #07/14042412–3 განცხადებით მომართა შპს „სასკო“–ს გენერალურმა დირექტორმა გიორგი სიჭინავამ და „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მოითხოვა ქ. თბილისში, ჩუბინიშვილის ქ. #63–ში მდებარე მშენებარე საოფისე შენობის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისთვის გადასახდელი მოსაკრებლის გადახდის გადავადებ აშენობა–ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღებამდე და მასთან დაკავშირებით შესაბამისი შეთანხმების დადება. თავის მხრივ, შპს „სასკო“ იღებს ვალდებულებას, რომ შენობა–ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების თაობაზე არაუგვიანეს 2015 წლის 1 იანვრამდე განცხადებას წარუდგენს შესაბამის უფლებამოსილ ორგანოს და შენობა–ნაგებობა დააკმაყოფილებს ექსპლუატაციაში მიღებისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ქალაქ თბილისის მთავრობამ განიხილა ქალაქ თბილისის მერის 2010 წლის 29 ივნისის #2761 განკარგულებით გაცემული სპეციალური (ზონალური) შეთანხმებისთვის გადასახდელი განაშენიანების ინტენსივობის კ–2 კოეფიციენტის მოსაკრებლის გადახდის გადავადებისა და მასთან დაკავშირებით შეთანხმების დადების საკითხი და „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის 17^2 მუხლის, ასევე „ქ. თბილისის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის გადახდასთან დაკავშირებით შეთანხმების გაფორმების წესის შესახებ“ ქალაქ თბილისის მთავრობის 19.09.2013 წ.№24.02.1078 დადგენილების შესაბამისად, ქ. თბილისში, ჩუბინიშვილის ქ. #63–ში საოფისე შენობის დროულად დასრულების, ქალაქის განვითარებისა და იერსახის გაუმჯობესების მიზნით, მიზანშეწონილად მიაჩნია შენობა–ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღებამდე შპს „სასკო“-ს გადაუვადოს მოსაკრებლის გადახდა და დადოს შეთანხმება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის,“საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ” საქართველოს კანონის 23^1 მუხლის „ფ“ პუნქტის, „ქ. თბილისის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის გადახდასთან დაკავშირებით შეთანხმების გაფორმების წესის შესახებ“ ქალაქ თბილისის მთავრობის 19.09.2013 წ. №24.02.1078 დადგენილების შესაბამისად,

ქ. თბილისის მთავრობა ადგენს:

1. დაკმაყოფილდეს შპს „სასკო“–ს გენერალური დირექტორის გიორგი სიჭინავას განცხადება ქალაქ თბილისის მერის 2010 წლის 29 ივნისის #2761 განკარგულებით გაცემული სპეციალური (ზონალური) შეთანხმებისთვის გადასახდელი განაშენიანების ინტენსივობის კ–2 კოეფიციენტის მოსაკრებლის გადახდის გადავადების თაობაზე.

2. დადებულ იქნეს შპს ,,სასკოსთან'' შეთანხმება შემდეგი პირობებით:

ა) ქალაქ თბილისის მთავრობა უზრუნველყოფს შპს „სასკოს“ ქალაქ თბილისის მერის 2010 წლის 29 ივნისის #2761 განკარგულებით გაცემული სპეციალური (ზონალური) შეთანხმებისთვის გადასახდელი განაშენიანების ინტენსივობის კ–2 კოეფიციენტის მოსაკრებლის გადახდის გადავადებას შენობა–ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღებამდე, ხოლო შეთანხმების განხორციელების მიზნით, შპს „სასკომ“ უნდა უზრუნველყოს, არაუგვიანეს 2015 წლის 1 იანვრამდე, უფლებამოსილ ორგანოში განცხადების წარდგენა შენობა–ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღებაზე და ექსპლუატაციაში მიღებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნების დაკმაყოფილება;

ბ) შეთანხმების პირობების დარღვევის შემთხვევაში, შეთანხმება გაუქმდება და შპს „სასკო“–ს დაეკისრება ვალდებულება შეთანხმების გაუქმებიდან 1 თვის ვადაში გადაიხადოს ქალაქ თბილისის მერის 2010 წლის 29 ივნისის #2761 განკარგულებით გაცემული სპეციალური (ზონალური) შეთანხმების და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გადასახდელი განაშენიანების ინტენსივობის კ–2 კოეფიციენტის მოსაკრებელი.

3. შეთანხმებაზე, ქალაქ თბილისის მთავრობის სახელით ხელმოწერა დაევალოს ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელს გიორგი გოგოლაშვილს.

4. კონტროლი დადგენილების შესრულებაზე დაევალოს ქ.თბილისის მერის მოადგილეს დავით ნინიძეს.

5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ქ. თბილისის მერის მოადგილე ირაკლი აბესაძე

შეთანხმება

ქალაქ თბილისის მთავრობასა

და

შპს „სასკო“–ს

შორის

თბილისი

2014 წელი

წარმოდგენილი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის გადახდის გადავადების თაობაზე შეთანხმება (შემდგომში „შეთანხმება“) დადებულია 2014 წლის 04 მარტი („ძალაში შესვლის თარიღი“)

ერთის მხრივ, ქალაქ თბილისის მთავრობა (შემდგომში “მთავრობა“), წარმოდგენილი ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის გიორგი გოგოლაშვილის სახით,

მეორეს მხრივ, შპს „სასკო“ (შემდგომში „შპს“), წარმოდგენილი დირექტორის გიორგი სიჭინავას სახით,

ქ. თბილისის მთავრობის 2014 წლის 21 თებერვლის #06.43.236 დადგენილების შესაბამისად დებენ წინამდებარე შეთანხმებას შემდეგზე:

1. შეთანხმების მიზანი

შეთანხმების მიზანს წარმოადგენს ქ. თბილისში, ჩუბინიშვილის ქ. #63–ში საოფისე შენობის მშენებლობის დასრულების, ქალაქის განვითარებისა და იერსახის გაუმჯობესების პროცესების ხელშეწყობა.

2. შეთანხმების საგანი და მოქმედების სფერო

შეთანხმების საგანია ქ. თბილისში, ჩუბინიშვილის ქ. #63–ში საოფისე შენობის მშენებლობისათვის ქ. თბილისის მერის 29.06.2010წ. #2761 განკარგულებით გაცემული სპეციალური (ზონალური) შეთანხმებისთვის გადასახდელი განაშენიანების ინტენსივობის კ–2 კოეფიციენტის მოსაკრებლის გადახდის 2015 წლის 01 იანვრამდე გადავადება წინამდებარე შეთანხმებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

3. მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:

3.1. შეთანხმების განხორციელების მიზნით, წინამდებარე შეთანხმებით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მთავრობა უზრუნველყოფს: შპს „სასკო“-ს მიერ ქალაქ თბილისის მერის 29.06.2010წ. #2761 განკარგულებით გაცემული სპეციალური (ზონალური) შეთანხმებისთვის გადასახდელი განაშენიანების ინტენსივობის კ–2 კოეფიციენტის მოსაკრებლის გადახდის გადავადებას 2015 წლის 01 იანვრამდე.

3.2. შეთანხმების განხორციელების მიზნით, წინამდებარე შეთანხმებით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, შპს უზრუნველყოფს: შენობა–ნაგებობის მშენებლობის დასრულებასა და არაუგვიანეს 2015 წლის 01 იანვრისა შენობა–ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღებაზე უფლებამოსილ ორგანოში განცხადების წარდგენას და, რომ შენობა-ნაგებობა დააკმაყოფილებს ექსპლუატაციაში მიღებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

4. შეთანხმების გაუქმება

შეთანხმების პირობების დარღვევის შემთხვევაში წინამდებარე შეთანხმება გაუქმდება და შპს-ს დაეკისრება ვალდებულება შეთანხმების გაუქმებიდან 1 თვის ვადაში გადაიხადოს მოსაკრებელი.

5. ცვლილებების და დამატებების შეტანა

შეთანხმებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

შეთანხმება შედგენილია 2 თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად ქართულ ენაზე.

ხელმოწერილია:

ქ. თბილისის მთავრობის სახელით სახელით

ს.ს.ი.პ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის
უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

გიორგი გოგოლაშვილი

ხელმოწერილია:

შპს „სასკო“-ს დირექტორი

გიორგი სიჭინავა

KA070181139974913

საქართველოს
კულტურისა და ძეგლთა
დაცვის სამინისტრო

Ministry of Culture
and Monument Protection of
Georgia

0105. ქ.თბილისი. სანაპიროს ქ. N4. ტელ:2 -996-377; ფაქსი: (+99532) 2-987-430
4 Sanapiro str. Tbilisi 0105. Georgia. Fax: (+99532) 2-987-430 Phone: 2 -996-377

www.culture.gov.ge E-mail: pr@culture.gov.ge

N02/08-4904 **05 / ნოემბერი / 2013 წ.**

თბილისის არქიტექტურის
სამსახურის უფროსის მოვალეობის
შემსრულებელს
ბატონ გიორგი გოგოლაშვილს

ბატონო გიორგი,

თქვენი ა/წ. 30 ოქტომბრის #02/08-4746 და 1 ნოემბრის #07/96082-13 წერილების თანახმად გიგზავნით სამინისტროს პოზიციას თითოეული წარმოდგენილი საკითხის შესახებ:

მიეცეს დადებითი შეფასება:

1. ქ. თბილისი, გორკის ქ.#38, სხვენში მანსარდის მოწყობის კორექტირებულ პროექტს (AR 1164914)
2. ქ. თბილისი, ჭონქაძის ქ.#14ბ, არსებული შენობის რეკონსტრუქციის პროექტს (AR 1165413)
3. ქ. თბილისი, სარაჯიშვილის ქ.#5. საოფისე შენობის პროექტს (AR 1163589)
4. ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ.#63, საოფისე შენობის მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელებას (AR 1160712)
5. ქ. თბილისი, ტერენტი გრანელის ქ.#10/12. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებულ პროექტს (AR 1167454)
6. ქ. თბილისი, გორკის II ჩიხი #10-ში არსებული შენობის რეკონსტრუქციის პროექტს (მიშენება) (AR 1165621) რეკომენდაციის გათვალისწინებით – სასურველია ფანჯრის ალათები გაკეთდეს ხისფერი.
7. ქ. თბილისი, ოქროყანის აღმართი #14, სანიაღვრე კოლექტორის მოწყობას (AR 1167707)
8. ქ. თბილისი, ჩაისუბნის ქ. #3 ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის დასაგეგმარებლად მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენას (AR 1164114)
9. ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ.#39/სენდუკიანის ქ.#41/1 არსებულ საცხოვრებელ სახლზე რეკონსტრუქციის და მიშენების განსახორციელებლად მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენას (AR 1159451)
10. ქ. თბილისი, ჭოველიძისქ.#6-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის გაზმომარაგებისთვის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენას (AR 1166945)
11. ქ. თბილისი, გოგებაშვილის II შესახ. #7 მრავალბიანინი საცხოვრებელი სახლის რეკონსტრუქციის მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენას (AR 1145474).

სსიპ-თბილისის არქიტექტურის
სამსახური
№ 07/96322-13
06. 11 2013 წელს

წარმოდგენილ იქნეს განმეორებით:

გათვალისწინებით: მანსარდის დაშენება შესაძლებელია, მაგრამ წარმოდგენილი მასალა არ არის სრულყოფილი – აკლია გენ-გეგმა, განშლა, ჭრილები.

2. ქ. თბილისი, სევანის ქ.#20, არსებული შენობის რეკონსტრუქციის ესკიზური პროექტი (AR 1165934) შემდეგი შენიშვნის გათვალისწინებით: წარმოდგენილი მასალა არ იძლევა გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას. აკლია: ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა, გეგმები, ჭრილები და განშლა. დასახვეწია პროექტის არქიტექტურული სახე.

3. ქ. თბილისი, ტყვიავის ქ.#10, არსებული შენობის რეკონსტრუქციის პროექტი (AR 1165333) შემდეგი შენიშვნის გათვალისწინებით: წარმოდგენილი მასალა არ იძლევა გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას. აკლია: ისტორიულ-არქიტქტურული კვლევა, გეგმები, ჭრილები და განშლა.

4. ქ. თბილისი, ბაქრაძის ქ#8, არსებული შენობის რეკონსტრუქციის ესკიზური პროექტი (მიშენება) (AR 1165566) (AR 1165566) შემდეგი რეკომენდაციის გათვალისწინებით: მე-2 სართულის აივნის გამოწევა მიუღებელია (დარჩეს არსებულ პარამეტრში). წარმოდგენილ იქნეს განშლები და გეგმები.

5. ქ. თბილისი, ნინოშვილის ქ.#7 მრავალფუნქციური შენობის კორექტირებული პროექტი (AR 1165995) შემდეგი შენიშვნის გათვალისწინებით: მოიხსნას კონსოლი ქუჩის მხრიდან, დამუშავდეს არქიტექტურული სახე.

6. ქ. თბილისი, გ. დოლიძის ქ#4, საცხოვრებელი სახლის რეკონსტრუქციის ესკიზური პროექტი (AR 1163968) შემდეგი შენიშვნის გათვალისწინებით: წარმოდგენილი მასალა არ იძლევა გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას. აკლია: ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა, გენ-გეგმა, სიტუაციური განშლა, დასამუშავებელია პროექტის არქიტექტურული სახე რეკომენდაციების გათვალისწინებით.

7. ქ. თბილისი, დოქის შესახ. #6 ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის პროექტი (AR 1164558) შემდეგი შენიშვნის გათვალისწინებით: წარმოდგენილი მასალა არ იძლევა გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას, აკლია ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა, სიტუაციური გეგმა. ზოგადად მოცულობა მისაღებია.

8. ქ. თბილისი, სარაჯიშვილის ქ.#23, ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის რეკონსტრუქციის ესკიზური პროექტი (დაშენება) (AR 1167105) შემდეგი შენიშვნის გათვალისწინებით: დაიხვეწოს პროექტის არქიტექტურული სახე, ზოგადად მოცულობა მისაღებია.

9. ქ. თბილისი, ხივინის შესახ. #4 სასტუმროს დასაგეგმარებლად მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დასადგენად შემდეგი შენიშვნის გათვალისწინებით: წარმოდგენილ იქნეს ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა და მის რეკომენდაციებზე დაყრდნობით შესრულებული ესკიზური პროექტი. (AR 1165073)

10. ქ. თბილისი, ბარნოვის ქ. #10, საოფისე შენობის დასაგეგმარებლად მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დასადგენად შემდეგი შენიშვნის გათვალისწინებით: პროექტი განხორციელდეს უკვე ჩატარებული ისტორიულ-არქიტექტურულ კვლევაში ჩამოყალიბებული რეკომენდაციების გათვალისწინებით. (AR 1160570)

11. ქ. თბილისი, გორკის ქ. #17 და #19 შერეული ფუნქციის მქონე შენობა-ნაგებობის დასაგეგმარებლად მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დასადგენად შემდეგი შენიშვნის გათვალისწინებით: ნაგებობის სიმაღლე შესამცირებელია, არქიტექტურული იერ-სახე დასახვეწია. (AR 1165370)

12. ქ. თბილისი, მარტყოფის შეს. #9, არსებული შენობის დემონტაჟის გათვალისწინებით, ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დასადგენად შემდეგი შენიშვნის გათვალისწინებით: წარმოდგენილ იქნეს გეგმა, სიტუაციური განშლა, ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა. (AR 1167584)

13. ქ. თბილისი, წითელწყაროს I შესახ. #10 თანასაკუთრების ეზოში მდებარე საცხოვრებელი სახლის რეკონსტრუქციის განსახორციელებლად მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დასადგენად შემდეგი შენიშვნის გათვალისწინებით: პროექტი წარმოდგენილ იქნეს სრული სადემონსტრაციო მასალის თანხლებით. (AR 1163811)

14. ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ.#14. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დასადგენად შემდეგი შენიშვნის გათვალისწინებით: წარმოდგენილ იქნეს ისტორიულ-არქიტექტურულ კვლევაზე დაყრდნობით შესრულებული ესკიზური პროექტის [illegible] (AR 1166092)

15. ქ. თბილისი, დიუმას ქ.#7 სასტუმროს განთავსების მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დასადგენად შემდეგი შენიშვნის გათვალისწინებით: წარმოდგენილ იქნეს ისტორიულ-არქიტექტურულ კვლევაზე დაყრდნობით შესრულებული ესკიზური პროექტის თანხლებით. (AR 1167865)

16. ქ. თბილისში, გ. მერჩულეს ქ.#2-4 არსებული შენობის რეკონსტრუქციის განსახორციელებლად მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დასადგენად შემდეგი შენიშვნის გათვალისწინებით: წარმოდგენილ იქნეს ისტორიულ-არქიტექტურულ კვლევაზე დაყრდნობით შესრულებული ესკიზური პროექტის თანხლებით (AR 1164919).

17. ქ. თბილისში, ერეკლეს II ჩიხი #6, ღია კაფეს მოწყობის პროექტი შემდეგი შენიშვნის გათვალისწინებით: წარმოდგენილი მასალა არასრულია. კლია - გეგმა, დასახვეწია დიზაინი. (AR1166323)

18. ქ. თბილისი, ლესელიძის ქ.#37. არსებული შენობის დემონტაჟის განხორციელება შემდეგი შენიშვნის გათვალისწინებით: შენობის დემონტაჟის განხორციელებამდე წარმოდგენილ უნდა იქნეს ახლად ასაშენებელი მოცულობის ესკიზური პროექტი. (AR 1167158) (AR 1167508).

უარი ეთქვას:

1. ქ. თბილისი, ჩერქეზიშვილის ქ.#19 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის რეკონსტრუქციის პროექტს (მიშენება) (AR 1166746) ვინაიდან წარმოდგენილი პროექტი არღვევს ეზოს სტრუქტურას.

2. ქ. თბილისი, გრიშაშვილის ქ.#46-46ა-46ბ სასტუმროს პროექტზე დაშენებისა და მიწისქვეშ ერთი სართულის მიმატების პროექტს (AR 1167587)

3. ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ.#49/2 ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის პროექტს (AR 1163233).

პატივისცემით,

მინისტრის პირველი მოადგილე მარინე მიზანდარი

ქალაქ თბილისის მერი

განკარგულება № 2761

"29" ივნისი 2010 წ.

ქ. თბილისში, ჩუბინაშვილის ქ. №63-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მშენებარე საოფისე შენობისთვის ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ

„საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, “ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 25-ე, 26-ე მუხლებისა და ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის 2010 წლის 16 ივნისის სხდომის №23 ოქმის შესაბამისად:

1. ქ. თბილისში, ჩუბინაშვილის ქ. №63-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მშენებარე საოფისე შენობისთვის, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით, წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვროს: კ2=3,0.
2. სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის მოსაკრებელი გადახდევინებულ იქნეს ”ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 122-ე მუხლისა და ”ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ” ქ. თბილისის საკრებულოს 29.06.07წ. №7-41 გადაწყვეტილების შესაბამისად.
3. დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს: შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას, გაითვალისწინოს კომისიის რეკომენდაციები.
4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს ა. ბოჭოიძეს.
5. წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6), გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გიორგი უგულავა

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 378123, ფაქსი: (+995 32) 378154

არქიტექტურული სამშენებლო კომპანია შპს "სასკო"
ARCHITECTURAL CONSTRUCTION COMPANY "SASCO" LTD.

24.03.2014წ.

№05/03/14

განმარტებითი ბარათი

ქ. თბილისში, ჩუბინაშვილის ქ. №63-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.16.01.008.005), მშენებარე საოფისე შენობისთვის, ჭალაქმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის სპაციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ არსებული კოეფიციენტი კ2=2.2 "ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების" შესაბამისად, ქ. თბილისის მერიის 29 ივნისი 2010 წ. განკარგულება №2761-ით, განაშენიანების ინტენსიობის კოეფიციენტი კ2 განისაზღვრა 3.0-ით

ზონალური შეთანხმების შესაბამისად გადასახდელი თანხა შეადგენს: 17358,5 ლარს

აღნიშნული თახიდან გადახდილია 1000 ლარი

ამასთანავე გაცნობებთ, რომ კოეფიციენტი კ2-ის მომატების შემდეგ არ განხორციელებულა არანაირი სამშენებლო მოქმედება ზემოთაღნიშნულ მისამართზე.

გთხოვთ დარჩენილი 16358,5 ლარის გადახდის გრაფიკი განგვისაზღვროთ 10 თვის ვადით (30.03.2014-30.12.2014წწ)

მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
1000	1000	1000	1908	1908	1908	1908	1908	1908	1910,5

შ.პ.ს. „სასკო"

დირექტორი: /გ. სიჭინავა/

საქართველო, თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზ. 16, ოფისი 222
222 office, 16 vazha Pshavela ave., Tbilisi, 0160, Georgia
Tel./Fax: (+995 32) 37 51 90, Tel.: (+995 32) 38 53 32, *1020
E-mail: info@sascogroup.ge
Web: www.sascogroup.ge

ზონალური მოსაკრებლის გადახდის ანგარიში	
ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (დიდუბე-ჩულურეთის რაიონი)	
კოდი	206160606
სახელმწიფო ხაზინა	220101222
ა/ა	200122900
სახაზინო კოდი	300773191



ლიბერთი ბანკი

საგადახდო დავალება # 1689231

22.11.2013

1

LB-100031689231

GEL

1000.00

თანხა ციფრებით

გადამხდების დასახელება: ვაჩე სარჯველა

გადამხდების ანგარიში: GE10LB0028145010427137

გადამხდების ბანკი: სს "ლიბერთი ბანკი"

ბანკის კოდი: LIBRTGE22

საბიუჯეტო გადახდა - ინფორმაცია გადასახადის გადამხდელზე

დასახელება: შპს სანკო

საიდენტიფიკაციო კოდი: 205045636

ბენეფიციარის დასახელება: ერთიანი საბიუჯეტო ანგარიში

ბენეფიციარის ანგარიშის/სახაზინო კოდი: 300773191

ბენეფიციარის ბანკის/ზაზა: ტრანსფერ საბონიტრის სახაზინო სამსახური

ბანკის კოდი: TKESGE22

საიდენტიფიკაციო კოდი:

გადახდის დანიშნულება: მოსაკრებელი სპეციალური /ზონალური/ ტერიტორიის გაფორმების რეგისტრაციის 63 მ2 კოდი დოკუმენტის დოკუმენტის გადას.

დამატებითი ინფორმაცია:

ხელმოწერა

ბანკის აღნიშვნები

22.11.2013

22.11.2013